მატჩი სტალინოში

სტალინო. 20 აგვისტო. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალისტს ფეხბურთში სტალინოს სპორტული წრეები დიდი ინტერესით მოელოდნენ.

თამაშმა თავიდანვე მწვავე ბრძოლის ხასიათი მიიღო. მალე გამოირკვა, რომ თბილისელებს უჭირდათ "შახტიორის" მეტად სწრაფი, აგრესიული მარცხენა გარემარბის პონომარენკოს დაკავება, რომელიც ხშირად გადიოდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. მე–20 წუთზე იგი კარგად გავიდა წინ და გახსნა ანგარიში – 1:0. 4 წუთის შემდეგ დინამოელმა გაგნიძემ ზუსტად დაამთავრა საპასუხო იერიში და ანგარიში გათანაბრდა – 1:1.

"შახტიორმა" არ მისცა მოწინააღმდეგეს საშუალება ხელთ აეღო ინიციატივა და გაეშალა თამაში. სტალინოელები მოქმედებდნენ მაქსიმალური ენერგიით, შეუჩერებლად. სულ მალე "დინამოს" კარში ზედიზედ იქნა გატანილი ორი გოლი – ჯერ პონომარენკო გავიდა სახიფათო მდგომარეობაში, ხოლო შემდეგ ფედოსოვმა თავით გაგზავნა ბურთი კარში – 3:1.

ტაიმის დასასრულს პონომარენკო კვლავ გაექცა მცველებს და ძლიერად დაარტყა კარში. მარღანიამ ვერ შეძლო ბურთის გაჩერება ხელებში, უკუაგდო იგი და დუბოვიცკიმ აიძულა სტუმრები მეოთხედ დაეწყოთ თამაში ცენტრიდან.

მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლეს დინამოელებმა გამოესწორებინათ თამაში. მათ მთელი ძალით, ხანგრძლივად შეუტიეს "შახტიორს". ერთ–ერთი იერიშისას დანიშნულ იქნა საჯარიმო დარტყმა, რომელიც კარგად გამოიყენა ჭკუასელმა – 2:4. "დინამომ" კიდევ უფრო გააძლიერა დაწოლა და იამანიძემ განსხვავება ანგარიშში მინიმუმამდე დაიყვანა – 3:4.

შემდგომში კალოევს ორჯერ ჰქონდა გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ბურთი რამდენიმე მეტრიდან აცდა კარს.

ამ გადამწყვეტ მომენტში, როცა თბილისელები ახლოს იყვნენ მიზანთან, სტალინოელთა მარჯვენა გარემარბი ბობოშკო მოულოდნელად გაიჭრა წინ, პირისპირ დარჩა მეკარესთან და მეხუთე ბურთი გაიტანა. ანგარიშით 5:3 გაიმარჯვა "შახტიორმა", რომელმაც სატურნირო ცხრილში მეათე ადგილიდან გადაინაცვლა მეშვიდეზე.

დუბლიორთა მატჩი მოიგო "შახტიორმა" – 2:1.

"ლელო", 22 აგვისტო, 1956 წ.